

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მანუჩარ სარალიძის მიერ 2014-2015 წლებში განეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

როგორც მოგეხსენებათ, არჩეული ვარ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად (პროპორციული სიით, „ქართული ოცნება-ერთობა“ ფორუმი“, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-ერთობა“ -ს თავმჯდომარე) და აქტიურად ვარ ჩართული, ჭიათურის მუნიციპალიტეტისა და მასში შემავალ თემებში არსებული სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაში.

შეხვედრებს ვაწყობ ჭიათურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან, თანადგომას და დახმარებას ვუწევ მათ შესაძლებლობების ფარგლებში.

2014-2015 წლებში შეხვედრები მქონდა :

1. ქალაქის ტერიტორიაზე (ლეუბნის, გოგებაშვილის ქუჩის მოსახლეობასთან)
2. სოფელი ზედა ჭალოვანი (ბუიშვილები - სოფელი ვანი)
3. სოფელი წირქვალი
4. სოფელი ენერი

მოსახლეობასთან შეხვედრისას გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები :

ქალაქის ტერიტორიაზე მძიმე წონიანი მანქანების გადაადგილება, საკანალიზაციო სისტემის მონესრიგება, წყლის მიწოდების პრობლემა, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პრობლემა და სხვა.

თემებში არსებული პრობლემები - ელექტრო ბოძების შეცვლა და გამრიცხველიანება, საუბნო გზების მოხრეშვა-მოხეტონება, წყლის მიწოდების პრობლემა, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პრობლემა.

მონაწილეობას ვიღებდი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების მიზნობრივად პრიორიტეტების დაგეგმვის პროცესში. დაინტერესებული ვარ 2016-17 წლების პრიორიტეტების ჩამონათვალში შევიდეს ყველა ის პრობლემა, რაც არსებული პრობლემაა სოფელსა და ქალაქში.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების ნაწილი შეძლებისდაგვარად აღმოფხვრილია, მაგრამ რჩება კიდევ ბევრი პრობლემა მოსაგვარებელი.

გასული წლის განმავლობაში მოსახლეობასთან ურთიერთობის საფუძველზე დაგროვილი გამოცდილებით, როგორც საკრებულოს წევრი, დარჩენილი უფლებამოსილების ვადაში შევძლებ, რომ მეტად ეფექტური იყოს ჩემი მუშაობა ქალაქსა და ყველა თემში არსებული პრობლემის მოგვარებისას.

